საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორის ბრძანება №01-08/9

ქ. ბათუმი 24. 02. 2011 წელი

რსუ–ს აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-13 და 25-ე მუხლების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. რსუ–ს აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტიდან ერთი წარმომადგენლის (სრული ან ასოცირებული პროფესორი) არჩევის მიზნით აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნები დაინიშნოს 2011 წლის 10 მარტს.
2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს რსუ–ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, ოთახი №12), 2011 წლის 25 თებერვლიდან 2011 წლის 7 მარტის ჩათვლით, 10 საათიდან _ 17 საათამდე, გარდა შაბათ–კვირისა და უქმე დღეებისა.
3. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია (C.V);
გ) რსუ–ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა აკადემიური (სრული ან ასოცირებული პროფესორის) თანამდებობის მითითებით.
დ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით 3/4-ზე;
4. ბრძანება გამოქვეყნდეს რსუ–ს ვებ-გვერდზე და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**